



საარჩევნო სისტემის რეფორმის მცდელობა კვლავ წარუმატებლად დასრულდა

მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პარლამენტის დღის წესრიგიდან მოიხსნა საარჩევნო სისტემის ე.წ. „გერმანული მოდელის“ მოდიფიცირებული ვერსიის შესახებ კანონპროექტის განხილვა. პროექტი ინიცირებული იყო „რესპუბლიკური პარტიის“ მიერ და მათვე გაითხოვეს უკან. აღნიშნულის მიზეზად, რესპუბლიკური პარტიის წევრმა ლევან ბერძენიშვილმა, პროექტის მისაღებად არასაკმარისი ხმების რაოდენობა **დაასახელა.**

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროექტი საარჩევნო სისტემის გაჯანსაღების რეალურ შესაძლებლობას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ წინასწარ გამართული კონსულტაციებისას საპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა თანხმობა და მზადყოფნა გამოთქვეს მხარი დაეჭირათ ე.წ. „გერმანული მოდელის“ მიღებისთვის. ამის მიუხედავად, 1 ივნისს ხმების არასაკმარისი რაოდენობის გამო კანონპროექტი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში პირველი მოსმენით განხილვისას ჩავარდა. აღნიშნული კი განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დეპუტატები ბოიკოტის მიზეზით არ ესწრებოდნენ კომიტეტის სხდომას. ამ ფაქტთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოვუწოდეთ პარლამენტის წევრებს,

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მეტი პასუხისმგებლობით მოკიდებოდნენ წარდგენილი პროექტის განხილვას და მხარი დაეჭირათ მისი **მიღებისთვის**.

იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკურ პარტიებს სრული მობილიზება მოეხდინათ საარჩევნო სისტემის შესაცვლელად, ცვლილებების პროექტი საერთოდ აღარ განიხილება. აღნიშნული პროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვის შესაძლებლობა ყველა საპარლამენტო პოლიტიკურ ძალას მისცემდა შესაძლებლობას, საჭაროდ დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია შემოთავაზებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ამასთან, მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი და არგუმენტები იქნებოდა გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის. კანონპროექტის შესაძლებლობა განხილვა დამატებით შესაძლებლობას ქმნიდა საჭირო ხმების შეგროვების, ხოლო საკითხის საერთოდ მოხსნამ დღის წესრიგიდან პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანა სისტემის შეცვლის შესაძლებლობა.

სამწუხაროა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა მსგავსი არათანმიმდევრულობა და უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით და რეალურად ხელიდან გაუშვეს ის შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებდა საპარლამენტო არჩევნების არსებითად უკეთეს გარემოში ჩატარებას.